
ოქტომ
ბრელი
№ 6




1930
ივნისი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ცეკ. ბიუროების და გან. სახ. კომისარ. სოც. აღზრ. მთავარმმართველობის ჟურნალი მცირეწლოვან ბავშვთათვის

წელიწადი
№ 6

## შინაარსი

გვ.

1. საათი—ლექსი ლ. გეგეჭკორის . . . . . . . . . . . . . . 1
2. კოლექტიური ბორბალი—ბორის ჩხეიძის . . . . . . . . . . 2
3. ტაია—(დასასრული) პანტ. ჩხიკვაძის . . . . . . . . . . 7
4. სინათლის კვალზე—მ. ილინის . . . . . . . . . . . . . 10
5. კოლექტიურ სამუშაოზე—მიტო რონინიშვილის . . . . . . . . 14
6. ბავშთა საერთაშორისო კვირეული—კარლო ნოეშვილის . . . 16
7. ღრუბლები—ლექსი შ. მღვიმელის . . . . . . . . . . . . 18
8. მაუდის ქარხანა—ცქვიტის . . . . . . . . . . . . . . 20
9. ჩვენი ბრიგადა სოფელში—ალ. ბილანიშვილის . . . . . . 24
10. პირველი ცული—თარგმანი ანი-სა . . . . . . . . . . . 26
11. ჩვენი მკითხველების წერილები . . . . . . . . . . . . 30
12. მუსიკალური გამოცანა—თ. შავერზაშვილის . . . . . . . . 32

გამოიწერეთ თუ არა მეორე ნახევარი წლით თქვენი ჟურნალი

„ოქტომბრელი“?

თუ არ გამოგიწერიათ, დააჩქარეთ, თორემ მეშვიდე ნომრიდან „ოქტომბრელი“ დაიბეჭდება მხოლოდ ხელისმომწერლებისათვის.

გამოწერის პირობები ნახეთ ყდის მე-3 გვერდზე.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 2498. მთავლიტი 1585. ტირაჟი 2000



# საათი



საათი ყველგან საჭირო არის:
ოჯახში, ხელზე, ქუჩაში გარეთ.
წამოიზრდები და რომ შეიძენ,—
სიამეს მოგგვრის და გაიხარებ!

ყოველთვის სწორედ უნდა აჩვენოს
დილა, შუადღე და თვით საღამო;
დრო წინდაწინვე გამოიზომე,
უსაქმობაში არ დაალამო!

მოვლა და ყურისგდება სჭირდება,
უნდა მომართვა თავ-თავის დროზე,
რომ მუშაობა არ შეაჩეროს
და შენც სკოლაში წახვიდე დროზე!

ფრთხილად მოეპყარ, არ გაგივარდეს,
სათუთია და უცბად გატყდება,
თორემ გაბზარულს რომ დაინახავ,
შენც დაღონდები, გული დაგწყდება!



საათი არის ვერცხლის, ოქროსი,
პატარა—ჯიბის, დიდი—კედლისა,
ისარი სრიალ-სრიალით დადის
და „ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ“-ს
იძახის ისა!

ლადო გეგეჭკორი



# კოლექტიური ბორბალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი დადგა მარტი, თოვლმა მაშინვე დნობა დაიწყო. პატარა რუებმა კვლები გაიჩინეს და ჩუხჩუხი დაიწყეს. ბავშები გამოეფინენ მზეზე და ბუჩქნარებში, სადაც თავდახრილი ქორჩიოტები და იები ღიმილით იყურებოდენ. ალიკამ ბევრი ია და ქორჩიოტა მოჭკრიფა, მაგრამ მაინც არ იყო კმაყოფილი: ყვავილები მზეზე ხელად სჭკნებოდა.

— სანიკო, მე აწ ყვავილს ხმასაც აღარ გავცემ,—უთხრა ალიკამ თავის ამხანაგ სანიკოს, რომელიც იქვე ჩინჩხორის ახალ ფოთლებს აგროვებდა ხბოსთვის.

— მაშ რას იზამ?—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ შეეკითხა სანიკო.

— წისქვილი მინდა ავაშენო. აი როგორი რუები ჩამორბის. ბორბალი რომ ბზრიალასავით ატრიალდება, მაშინ ნახე! ერთი ურემი იაც რომ მომიტანო, მაინც არ გაგიცვლი. მაგრამ...

— რა იყო, ალიკა, რასაც შენ ვერ გააკეთებ, იმას მე გავაკეთებ, და წისქვილიც იქ აშენდება.

— არა, სანიკო, საქმე სულ სხვანაირადაა. ვისაც საკუთარი წისქვილი აქვს, ის ხომ კულაკია. აი, როგორც ჩვენი იოკიმე კორტი ბულაა.

— აა... ეგ მართალია, ალიკა.

ბიჭები მალიან დაფიქრდენ. კულაკმა სოფელს მალიან ცუდი საქმე უქნა. კოლექტივის სასიმინდეებს და თივებს ცეცხლი მოუკიდა. ალიკასა და სანიკოსთანა რამდენი პატარა ბიჭი და გოგონა დასტოვა იმ წყეულმა მშიერი და შიშველი.

უცებ სანიკო შეხტა, გადაიხარხარა და ყვიროდა:

— მოვიგონე... მოვიგონე... სოციალისტური წისქვილი ავაშენოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს როგორ? რა სოციალისტური წისქვილი?--შეეკითხა ალიკა.

ამ სიხარულის ხმაზე მთელი ორი-სამი ეზოს ბავშები ერთად შემოგროვდენ. სანიკო ახლა ჭლიკებზე შედგა და ბავშებს ეუბნებოდა:

— ჩვენ, ამხანაგებო, ყველამ ერთიმეორეს უნდა დავუჯეროთ, შევთანხმდეთ. ზოგი რუს გავჭრით, ზოგი ღარს გავთლით, ზოგი ბორბალს გავაკეთებთ, ზოგიც კიდევ ხუხულას ავაგებთ. კოლექტიურად რომ წისქვილს ავაგებთ, კულაკები აღარ ვიქნებით..

ალიკა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, სანიკას გაცხარებით ეუბნებოდა:

— შენთან თამაშობა არაოდეს არ მომწყინდება. აბა, როგორც გინდა, მოგვაწყვე, ხელობა კიდევ ჩვენ ვიცით.



— აბა, დავიწყოთ, ამხანაგებო! შენ, კოკია, თოხი მოიტანე; შენ, ალიკა, მასალები მოაგროვე. შენ კიდევ, ნიკოლა, ვასო პიონერთან წადი, იმას ლობზიკი და სხვა მოწყობილობა აქვს, კარგ ბორბალს გამოგვითლის. მე რუს იმ ქვას მივუყენებ ჩქეფისათვის, ნათელა კიდევ ქურის თავიდან თიხას მოიტანს და კარგ ჩალის ღეროებს ამოგვირჩევს.

სანიკო ბიჭებს არიგებდა სამუშაოზე და საწისქვილე ადგილს მტკავლით ზომავდა.

ბავშები მოვიდენ. ყველამ მოიტანა დავალებული მასალა. ვასო პიონერიც ხერხავდა პატარა ფიცრებს.

ყველაფერი მზად არის. ალიკამ დაიწყო აშენება. სხვა ბიჭებმა რუ მოუგდეს. ღარიდან ჩაჩხრიალდა წყალი, და ბორბალმა დაიწყო ტრიალი. ბავშების ჟივილ-ხივილი აყრუებდა არემარეს. ხმაზე იოკიმე კულაკის ბიჭიც მოვარდა. მას ძალიან მოეწონა ასე



კარგად დაგებული ღარები და მაგრად გაკეთებული ბორბალთან მი-
სვლისთანავე იკითხა:

— ვისია ეს წისქვილი?

— წისქვილი ჩვენია, ყველასი, და არა ვინმესი!—ამაყად მი-
უგო ალიკამ.

— წისქვილი ჩვენ კოლექტიურად ავაგეთ და კოლექტიურადაც
ვითამაშებთ; სხვა სათამაშოებსაც კოლექტიურად გავაკეთებთ,—
სთქვა სანიკომ და გიუნა ოსტატივით ლობხიკი ბეჭზე მოიდო.

— მაშ, მაშ, ასე ვიზამთ!—ერთხმად ამბობდენ ბავშები.

ამ დროს ალიკას დედა მოსულიყო. ის სიყვარულით დაჰყუ-
რებდა ბავშებს. ისინი ხარობდენ, ბორბალი რომ ტრიალებდა და
წყალი ჩხრიალით ჩადიოდა.

— გაიხარეთ, შვილებო, პატარა მშენებლებო!



ბიბლიოთეკა

დედამ ალიკა გადაკოცნა და თმა გაუსწორა, ის კო[illegible] კებდა:

— აი, დედა, გავიზრდებით და მერე დიდ წისქვილს ავაშენებთ კოლექტიურად.

— კი, შვილო, ითამაშეთ, გაიზარდეთ, ახლა ალბათ მოგშივდებოდათ, წამოდით ჩემთან.



დედამ ყველა ბავში წაიყვანა შინ და ყველი და პური დაურიგა. ბავშები ძალიან ნასიამოვნები იყვნენ.

ბორის ჩხეიძე



(დასასრული)

3.

ბავშები კოლექტივის ეზოს მიუახლოვდენ.

ეზოდან რაღაცა მანქანის რახრახი შემოესმათ განცვიფრდენ.

პირველად ესმოდათ ბავშებს მსგავსი ხმაურობა.

ხმაურობა თანდათან მატულობდა და სათესი მინდვრის ბოლოდან მანქანა ბობღვით მიუახლოვდა კოლექტივის ეზოში შესასვლელ კარს.

ეს იყო ტრაქტორი.

— რაია, ბიჭო, აგი?—შეშინებული კილოთი წამოიძახეს ბავშებმა და ერთმანეთს მოეფარენ.

— რაია და ტრაქტორი,—დაასწრო ყველას ვალიკომ და მეტისმეტი სიამაყით თავი მაღლა დაიჭირა.

— ტრაქტორი?—თითქმის ერთხმად აღმოხდა გაკვირვებულ ბავშებს.

— ტრაქტორი, მაშ!

ტრაქტორი ბავშებს მიუახლოვდა.

— მია, მართლა ეს არის ტრაქტორი?—მიმართეს ბავშებმა შოფერს და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ტრაქტორს თვალიერება.

— ეს არის ტრაქტორი, ჩემო პაწია მეგობრებო.

ბავშებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მერე, საჭმელს როდის აჭმევთ ტრაქტორს?—მოუთმენლად იკითხა ტაიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საჭმელს?

შოფერს მადიანად გაეცინა, ბოლოს კი სიცილს ხარხარი მოაყოლა, როცა თვალი მოჰკრა ბავშების მიერ მოტანილ ბალახისა და ნემოს-კონებს.

— საჭმელს დილაობით ვაძლევთ... ტრაქტორი საჭმელს კი არ სჭამს, სათბობ მასალას სვამს და იმით მოძრაობს. ეგ ბალახი რად გინდოდათ, პატარებო!

— ტრაქტორს მოვუტანეთ საუზმისათვის, მაგრამ...

ტაიამ თავი ჩაღუნა და სირცხვილისაგან ლოყები დაეწვა სიწითლით.

შოფერმა სიცილს უმატა, ტრაქტორი დააყენა და, ბავშების გულუბრყვილობით გამხიარულებულმა, ბავშებს სათითაოდ მოუალერსა.



— ტრაქტორი ბალახიჭამია როდია, მეგობრებო! ტრაქტორი ბენზინითა და წყლით იკვებება მხოლოდ. აი, შეხედეთ!

შოფერმა ტრაქტორს რკინის ხუფი გადახადა, ბავშები მწკრივში დააყენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სათითაოდ აუხსნა ყველას მანქანის ცალკეული ნაწილები და ნაწილების დანიშნულება.

ბავშების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. გაშეშებული იდგენ ისინი უძრავად ერთ ადგილას და ტრაქტორის ნაწილებს ათვალიერებდენ. ყველაზე მეტად გაოცებული დარჩა ტაია, რომლის წარმოდგენითაც ტრაქტორი ბალახიჭამია უნდა ყოფილიყო, და დახეთ, ტრაქტორი უსულო საგანი ყოფილა, რომელიც თურმე ბენზინითა და წყლის ორთქლით მოძრაობს.

— მე ხომ ვამბობდი... ხომ ვამბობდი, ტრაქტორი ბალახს არ ჭამს მეთქი? აი, ახლა ხომ ხედავთ! —დაიჩემა ახლა ვალიკომ და ტოლ-ამხანაგები სასაცილოდ აიღო.

— დაიწყებ შენც...

— რას დავიწყებ... ტყუილია თუ?

— თუ ტყუილი არ არის, შენ რატომ მოსმებნე ბალახი?..

ვალიკო გაწითლდა. მიხვდა, რომ თვითონაც ჩავარდა.

— მე თუ მოვნახე... იმიტომ მოვნახე, რომ...—დაიწყო ვალიკომ თავის მართლება...

— იმიტომ... იმიტომ... არაფერიც არა. შენც არ იცოდი დანამდვილებით, რომ ტრაქტორი უსულო საგანი იყო, თორემ იტყოდი კიდეც...

— რას ჩხუბობთ, ჰაწია მეგობრებო. თუ არ იცოდით, სამრახისი როდია. აი, დღეს ხომ ნახეთ ტრაქტორი, ხომ ხედავთ, თუ რაც არის ის. თქვენ ახლა თქვენს ამხანაგებს გააცანით მისი მნიშვნელობა და დააინტერესეთ ყველანი, რომ მოვიდენ ისინიც აქ, კოლექტივის ყანებში, და თავისი თვალით ნახონ ტრაქტორები...

შოფერი ბავშებს გამოეთხოვა, ტრაქტორზე შეჯდა, და აგუზგუზდა კვლავ ტრაქტორი...

შავი ბელტები გადაწვა ანეულში და ბავშების ხარბი, ცნობისმოყვარე თვალები აედევნა ტრაქტორს გზადაგზა.

ვანტ. ჩხიკვაძე.

# სინათლის კვალზე

**მნათობელი რუკა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ახლა გიამბობთ, ქორი კი არ გეგონოსთ, ეს იყო მოსკოვში საბჭოთა ყრილობაზე. ტრიბუნაზე დიდ, უზარმაზარ რუკასთან იდგა მომხსენებელი.

— გაანათეთ ელსადგურები — სთქვა მომხსენებელმა.

დარბაზი დაბნელდა და რუკაზე კი რამდენიმე ადგილას აინთო სინათლე. — ლურჯი, მწვანე, თეთრი.

სინათლე ბევრ ადგილას არ იყო რუკაზე, უფრო მეტი იყო შუა ადგილას, ლენინგრადისა და მოსკოვის რაიონებში. ირგვლივ კი, განაპირა მხარეებში, სრული სიბნელე იყო. რუკა პატარა ქალაქის ცალიერ მოედანს გავდა, ორი-სამი ფარანი რომ ბჟუტავს შუაზე და და სხვაგან კი ღამეა.

— ხედავთ, როგორ აინთო რუკაზე სინათლე. ეს ჩვენი ელსადგურებია. ჯერჯერობით, როგორც ხედავთ, ბევრი არ არის. აი, აქ, ლენინგრადთან ლურჯი სინათლით რომ ანათებს, ეს ჩვენი ვოლხოვსტროია, იქით, შორს, სამხრეთით, მეორე ლურჯი სინათლე - ზემო ავჭალის ჰიდროსადგურია [1]. დიდი ჰიდროსადგური მხოლოდ ორი გვაქვს, დანარჩენები კი, აი ეს თეთრი შუქები, ის სადგურებია, რომლებიც ნახშირის საშვალებით მუშაობენ.

ამნაირი სადგურები მეტია ლენინგრადში.

ხედავთ, ოთხი თეთრი შუქი — ქალაქის ოთხი სადგურია. მოსკოვში ორი სადგურია - ტრამვაის სადგური და მოჰესი. აქვე გვერდით რომ მწვანე შუქი ანთია, ეს ტორფის სადგურია, ტორფით ამუშავებენ, მოსკოვიდან ცოტათი მოშორებით თქვენ ხედავთ კაშირის სადგურს. დონბასში თეთრი სინათლეა. ეს მწანე სინათლე კი ვოლგაზეა, ეს — ბალახანაა.

— ახლა კი, — განაგრძობდა მომხსენებელი, გთხოვთ გაანათოთ ყველა სადგური, რომლებიც 5 წლის შემდეგ გვექნება!

ვილაცამ მოატრიალა ამომრთველი, და რუკა თითქოს გამოხტა სიბნელიდან, აინთო აურებელი სინათლე - თეთრი, ლურჯი, მწვანე. შუქები მძივებივით ჩამწკვრივდა მდინარე ვოლგას მიხვეულ-მოხვეული მიმართულებით, ლურჯი ვარსკვლავებივით მოიჭედა კავკასიონის მთები, დიდი კოცონი აგიზგიზდა დნეპრზე, გაშუქდა ურალი, ციმბირი და თურქესტანი.

ეს-ეს იყო რუკა მივარდნილ პაწია ქალაქის პატარა მოსაწყენ მოედანს ჰგავდა, ახლა კი ეს იყო სატახტო ქალაქის გა-

[1]) ჰიდროსადგური — წყლის ელსადგური.




ჩირაღდნებული მოედანი, გაჩირაღდნებული ტრამვაების, ავტოების, ელექტროაბრების და წარწერების შუქით.

— აი, რამდენი ელსადგური გვექნება ხუთი წლის შემდეგ,— სთქვა მომხსენებელმა, — რამდენი მაღანი, ქარხნები, რკინის გზები, ხორბლეულის ფაბრიკები, ახალი ქალაქები!

მომხსენებელი დიდხანს ლაპარაკობდა. უზარმაზარ რუკაზე ახალ-ახალი შუქი ინთებოდა და მიიწევდა სწრაფად ყოველმხრივ—აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ. გეგონებოდათ, თითქოს ცეცხლის ჯარი მიობოდა და იფანტებოდა რუკაზე და ელექტრობით ანათებდა ბნელ, უდაბნო ადგილებს.

— ახლა კი,—სთქვა მომხსენებელმა,—აანთეთ ყველა შუქი, ელექტროსადგურები, აანთეთ ნახშირი, ნავთი, ტორფი, რკინის გზები, არხები, ნავსადგურები, ქარხნები, ხორბლეულის ქარხნები, ქალაქები...—და მთელი რუკა გაჩაღდა ათასი სინათლით, როგორც ჭრელი უზარმაზარი ხალიჩა.

გავიდა ხუთწლედის პირველი წელიწადი. გაკეთდა თუ არა იმის ნაწილი მაინც, რის შესახებაც ლაპარაკობდა მომხსენებელი საბჭოების ყრილობაზე? აშენებენ თუ არა ამ ქარხნებს, ელსადგურრებს, რკინის გზებს? ან შეიძლება არაფერი არ გამოვიდა? გავყვეთ სინათლის კვალს. ვნახოთ, გაკეთებულია რამე თუ არა იქ, სადაც განათებულ რუკაზე ბრჭყვინავდა სინათლე. მთელი მხარის შემოვლას ვერ მოვახერხებთ, ზოგიერთ კუთხეში კი შევიხედოთ.

### რკინისა და ცემენტის ჭიაჭველეთი.

ვოლგის ნაპირია. უდაბური ტიტველი ადგილი. აქედან თორმეტი კილომეტრის მანძილზე დიდი საქარხნო ქალაქი სტალინგრადია. აქ კი სიწყნარეა, ხალხი არსად ჩანს.

ერთი წლის წინად ეს ადგილი ხუთწლედის რუკაზე მწვანე შუქით იყო აღნიშნული.

თქვენ ფიქრობთ, რომ ასე დარჩა ეს ადგილი ცალიერი?

აბა ვნახოთ, ახლა რა ამბავია იქ. უდაბური ადგილი დასერილია ვიწროლიანდაგიანი რკინის გზით, თხრილებით და ორმოებით—შენობების საძირკვლების ჩასაყრელად. უზარმაზარი



მორები, დაგროვილი სილისა და ღორღის მთელი გორები, აუარებელი ნაცრისფერი კასრი, ცემენტით სავსე. ირგვლივ ყველგან სავსეა საშენებელი მასალა, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. დაქრიან წინ და უკან ორთქლმავლები და მიაქვთ კიდევ და კიდევ ხეები, ქვა, სილა, და ივსება მიდამო ხის მასალით, რკინის კოჭებით...

ნამდვილი ჭიანჭველეთია, მხოლოდ წიწვებისა და ფიჩხის კი არა, არამედ რკინის, ცემენტის, აგურის და უზარმაზარი მორების. უყურებ ყველა ამას და ფიქრობ:

— რა არეულ-დარეულობაა!

მაგრამ ეს მხოლოდ გეჩვენებათ. აბა, შეხედეთ, ზოგ შენობას უკვე შემოაცალეს ხარაჩოები და ჩანს, რა საოცრად ლამაზი მაღალი შენობებია აგებული ნათელ დარბაზებში უკვე გამოჭიმულა მანქანები— რკინის ჭიანჭველები, რომლებმაც უნდა იცხოვრონ რკინისა და ქვისაგან აგებულ ამ ჭიანჭველეთში.

დღითა და ღამით იწარმოებს მუშაობა და ყოველ ექვს წუთში ამწყობი ცეხის ჭისკრებიდან გამოვა ხოლმე ახალი, ეს ეს არის გაკეთებული ტრაქტორი „ინტერნაციონალი“.

ტრაქტორის მშენებელი—აი რა ჰქვია ამ ქარხანას.

შარშან კი ეს ადგილი მხოლოდ მწვანე შუქით იყო აღნიშნული.



რკინის ბუმბერაზების ბინა

მეორე ბინა რკინის ბუმბერაზებისა დნეპროსტროია.

აბა შეხედეთ, როგორ დადიან კაშხალზე დნეპრის ზემოთ წოწოლაკისრიანი რკინის ბუმბერაზები. ქვემოთ ფუსფუსებენ ბუმბერაზები— ესენი მამოძრავებელი ონკანები და ექსკავატორებია. მამოძრავებელი ონკანების საშვალებით ქვებით ტვირთავენ დასცლიან მატარებლებს, ექსკავატორებით ღორღნიან მიწას, თხრიან. წოწოლაკისრები ეშვება ძირს, იწევა მაღლა, ტრიალებს მარცხნივ, მარჯვნივ. მიაქვთ მაღლა მიწა, ქვა-ღორღი. ეს მახინჯი ბუმბერაზები მოჩრილად აკეთებენ თავის საქმეს. კაშხალი იზრდება, მო-



ეროვნული ბიბლიოთეკა



იწევს წინ, სწურავენ დნეპრს ორივე მხრიდან მარწუხივით. ჩქარა მოიმუწვება მარწუხები, და მაშინ დნეპრი აიწევს მაღლა, და აინთება მის მარჯვენა ნაპირზე ნამდვილი ელექტროსინათლე, ისეთი პაწია შუქით კი არა, როგორც რუკაზე.

### ელექტროგანათება კაშტიმში და კარაბაშაში

რა არის კაშტიმი და კარაბაში? სად არის? ესენი ქალაქებია ურალზე. თითქმის არაფერი ვიცით ამ ქალაქების შესახებ, სიბნელე და სიცალიერე იყო იქ ქუჩებში საღამოობით.

მაგრამ ახლა მიიწევს იქითკენ ელექტროგამტარი მავთულების ხელები. ჩელიაბინსკში უკვე მთავრდება ელექტროსადგურის შენება. სწრაფად იდგმება ახოვანი რკინის კოშკები ელექტრონის გადასაცემად. და ჩქარა გაირბენს ელექტროდენი ელექტროგამტარ მავთულებზე კარაბაშაში, კაშტიმში და ზლატოუსტში.

ელექტრო გააშუქებს ქუჩებს და ქარხნებშიც აკრუტუნდება ელექტროძრავები.

### მილიონი კაცი ერთ ოთახში

დახედეთ ამ სურათს, ორი ქვაბია, თავზე რაღაც უცნაური ქუდი ახურავს.

ეს ორთქლის ტურბინია, რომელიც გააკეთეს ლენინგრადის ლითონის ქარხანაში. მისი ძალა 22 ათას კილოვატს უდრის. მას შეუძლია გასწიოს ერთი მილიონი ღონიერი მუშის ძალის მაგიერობა. და არც ისე დიდი



ადგილი უჭირავს, — ერთ ოთახში ეტევა. მილიონი მუშა ერთ ოთახში!

ამისთანა ტურბინები გვჭირდება ჩვენი დიდრონი ელექტროსადგურებისთვის.

გახსოვთ, ხუთწლედის რუკაზე თეთრი შუქები რომ იყო? იმისათვის, რომ ეს თეთრი შუქები შესცვალოს ნამდვილმა ელექტროსადგურებმა, საჭიროა ავაშენოთ ბევრი ამნაირი ტურბინი.

ხუთი წლის შემდეგ ჩვენ კავშირში იქნება რკინის მუშების უზარმაზარი არმია. ყოველი ცოცხალი მუშის ხელქვეით იქნება რკინის 60 ჯარისკაცი. ყველაზე უდიდეს ქარხანაში რკინის ჯარისკაცები კიდევ მეტი იქნება: ყოველი ცოცხალი მუშის განკარგულებაში იქნება რკინის შვიდასი მუშა.

მ. ილინი

# კოლექტიურ სამუშაოზე

ეს რა ბავშთა გროვაა
და ან რა ხელობისა?
ნუთუ კოლექტივია
ფრენზეს სახელობისა?..
შეხეთ, შეხეთ იმ ცელქებს
მოკლეშარვლებიანსა,
კუდრაჭელა გოგოცას
ცისფერთვალებიანსა!!..
სად მიდიან კისკისით,
ლხენით, შარი-მურითა?
ალბათ სამუშაოზე
მიდიან სიხარულითა;
აგერ თავზე მოევლენ
ბორცვებს წყაროიანსა,
სად ჩანჩქერი აცეკვებს
სხივებს ნათელმზიანსა.
სიმღერით და ცელქობით
დაირბინეს ველები,
კაჭაჭები და ქვები
და ბალახი მავნები
წამოჰკრიბეს ერთ ადგილს,
მისცეს დიდ ცეცხლს ალიანს,
საღამოს კი შინისკენ
მხეს წამოჰყვნენ ხალიანს.

მიტო როინიშვილი



# ბავშთა საერთაშორისო კვირეული



ყოველწლიურად ზაფხულში უქმობს ბავშთა კომინისტური ორგანიზაციები საერთაშორისო კვირეულს. ამ კვირის განმავლობაში ყველა ქვეყნის პიონერთა და ოქტომბრელთა ორგანიზაციები თვალს გადაავლებენ მთელი წლის თავის ნამუშევარს. ამ კვირის განმავლობაში შემოიკრებენ და მიიღებენ პიონერორგანიზაციაში წევრებად შეუკავშირებელ ბავშებს, ჩაატარებენ საბავშო ჟურნალებსა და გაზეთებზე ხელისმოწერის კამპანიებს, შეამოწმებენ ყველა ქვეყნის პიონერ-რაზმების და ორგანიზაციების ინტერნაციონალურ მუშაობას, გამართავენ აღლუმებს, დემონსტრაციებს.

წელს შესრულდა ბავშთა კომუნისტური მოძრაობის 10 წელი და ორგანიზაციებმა იდღესასწაულეს კომუნისტურ ბავშთა მე-X საერთაშორისო კვირეული.

საბჭოთა ქვეყნებში დიდი ზეიმით ტარდება ყველგან და ყოველთვის ეს დღესასწაული, მაგრამ უცხოეთში პოლიცია ზღუდავს ბავშების თავისუფლებასაც და არ აძლევს გასაქანს.

24 მაისს, საერთაშორისო კვირეულის უკანასკნელ დღეს, ტფილისში დიდი დემონსტრაცია გაიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა






საღამოს ექვსი საათისათვის შესაკრები პუნქტები უკვე აივსო პიონერებით და უფრო მოზრდილი ოქტომბრელებით. იქ დაინახავდით ქართველებთან ერთად თურქებს და სომეხ ბავშვებს.

აი, დაიძრა დემონსტრაცია... წინ მიუძღვისთ მუსიკა, ბარაბანი და წითელი დროშები. ხელში პლაკატები უჭირავთ, რომელსაც ამშვენებს წარწერები სხვადასხვა ენაზე: „პიონერო, იბრძოლე ხუთწლიანი გეგმისთვის“, „მზად ვიყოთ მუშათა საქმისთვის“ და სხვ.

ისმის ბარაბნის რახუნი, საყვირთა მოწოდება.

აივსო რუსთველის პროსპექტი დემონსტრანტებით. ხალხი კმაყოფილებით შესცქერის მომავალ თაობას. დემონსტრაციას კომკავშირის ც. კ. წინ ამართული ტრიბუნიდან ესალმებიან. ისმის მოწოდებები: „გაუმარჯოს ბავშთა საერთაშორისო კვირეულს“, „საბჭოთა კავშირის დასაცავად იყავ მზად!“

„მზად ვართ!“ — უპასუხებდენ პიონერები და ოქტომბრელები.

კარლო ნოეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღრუბლები



არც ისე შორეული ვართ,
როგორც ზოგ ბალღსა ჰგონია;
ჩვენი გაჩენის ამბავი
სწორედ ვერ გაუგონია.

ზღვა არის ჩვენი მშობელი,
ცის სივრცე კიდევ — გადია;
მზე გვკრეფავს ორთქლად, ნიავი
ზევით მიგვაფრენს, ცხადია.

და იქ გვაზავებს ჰაერი,
მზე გვღებავს ათასფერადა;
ზოგჯერ შავბნელად ქცეულნი
მიწას დავყურებთ ცერადა.

ხან კი მთლად ლამაზები ვართ,
როგორც თივთიკის ქულები;
სრულებით არსად გვაჩნია
ჩვენ საწვიმარი წულულები.

მივდივართ ქარავანივით
ნელ-ნელა ლეგა კუდებით;
ხან კი უამრავ ზვინებად
მთების მხრებზე დავეყუდებით.



აქა ჩანს ჩვენი სიდინჯე,
ბუმბერაზობა, დიდება,
და ციდან დედამიწასთან
ფიქრების ხიდი იდება.

ზოგჯერ კი ცხელი კუპრივით
გულ-მკერდი ჩაგვიმავდება;
წამოვალთ სეტყვა-კოხებად
და ყოფა ცუდად თავდება.

ცაზე რომ უცბად შევკარით
წუთის წინ მშვიდი თალები,
მეორე წუთში მთლად მოვსპეთ
მირს ნათესი და ბაღები.

მოისრა სარჩო მშრომელის,
გულმა დაიწყო ღონება...
ალბათ ჩვენც რამეს დაგვიგვრის
კაცის ჭკუა და გონება.

ხშირად კი, როცა მოვდივართ
დაბლა ქუჩუნა წვიმებად,
მთესველთ რომ გაუხარდებათ,
მინდვრებს მთლად გაეღიმებათ.

შიო მღვიმელი



# მაუდის ქარხანაში

(პიესა ცეკვით და სიმღერით)

(ბავშვები ჯგუფურად შეჯგუფულან, მანქანების გუგუნს აჯავრებენ, ხელებს ატრიალებენ, აქეთ-იქით ერთად იხრებიან, მანქანის მოძრაობას ჰბაძავენ)

**ირა:** ერთად, ერთად, კაცო! თამრიკო, შენც ჩვენთან დაიხარე. მარჯვენა ხელიც აი ასე ატრიალე... (უჩვენებს)

**სანდრო:** შენ, ეი, გივი! ცოტა წინ წაიწიე, ძმაო, შენ რომ იღუნები, მე ცხვირ-პირს მამტვრევ, რა დაგიშავე, ძმაო, რას მერჩი?

**გივი** (სიცილით): რას ამბობ, ბიჭო! მე ჩემი თავი უკვე მანქანა მგონია და კი ვეღარაფერსა ვგრძნობ. (საერთო სიცილი)

**რეზო:** ირა, თუ კაცი ხარ, ლეოს უთხარი, ნუ გიჟობს. ხელებს ისე იქნევს, რომ ჩემ გრძელ ცხვირს მოსწვდეს. აბა დახედე, კინაღამ მირიან-ფესვიანად მომაგლიჯა.

**ლეო** (სწრაფად): არა, კაცო, რა ჩემი ბრალია, შენი ცხვირი ზურგში წერაქვივით მედება და მაშ არ მოვიშორო, არ მოვიგერიო?!

**ირა:** ჰო, კარგი, კარგი, გაჩერდით, კაცო, რა დაგემართათ. თუ თამაში გინდათ, ვითამაშოთ, თუ არა და მეც არ მინდა, ძმაო, ამისთანა აყალ-მაყალი.

**ზინა:** ოხ, ეს ბიჭები რანაირი ხალხია! გაჩერდით, რაღა, არ გეყოთ ამდენი მაიმუნობა?!

**ირა:** ჰო... აბა ერთად, ხელები პირდაპირ! გადმოხრა მმიმედ წინ და უკან...

**სანდრო:** რას ვაკეთებთ?! ისევ მანქანა ლევიაფანს ვაჯავჯრებთ...

**ზინა:** ჰო, ჰო, სარეცხ-საშრობი მანქანები ვართ, რა საქმე გააჭირვე, ვერ გაიგე?

**ირა:** აბა ერთად... ერთად დაიხარეთ და ერთადვე გასწორდით წელში.

**ბავშები ერთად:** დუ· გუ··· დუ··· გუ, დუგუ··· დუგუ·

**მეორე ჯგუფი:** ბოჰ. ბოჰ. ბოჰ. ბოჰ... ბოჰ. ბოჰ.

**მესამე ჯგუფი:** კირგი.. კირგი, კირგი.. კირგი.

**მეოთხე ჯგუფი:** (მღერის) მანქანები ვართ ქარხნისა,
რკინის, ფოლადის, თუჯისა,
ვგუგუნებთ, ვცეკვავთ, ვტრიალებთ
და სულ ამ ხმაზე ვღრიალებთ:

**პირველი ჯგუფი:** დუგუ, დუგუ, დუგუ, დუგუ·

**მეორე. ჯგ:** ბოჰ, ბო, ბოჰ.

**მესამე ჯგ.:** კირგი, კირგი, კირგი.

**ირა:** ბიჭებო, ბიჭებო, წყლის ჩხრიალის ხმა არ ისმის, მანქანებო, თქვენ ხმაურობას ცოტა მოუკელით, ახლა ჩანგალმა უნდა იმღეროს.

**ქეთო:** ირა, მე შუაში ჩავდგები, არ გახსოვთ, მატყლის საჩხვეტი ჩანგლები შუაზე არ იყო დამაგრებული?!

**ირა:** ჰო და ცოტა აქეთ მოიწიე... აბა ხელები ზემოთ დაიჭირე, ხუთივე თითი ფართოდ გაშალე. მძიმედ, ძლიერ მძიმედ დაუშვი. დაიხარე მძიმედ. ჰო, ასე!! კიდევ, კიდევ!..

**სანდრო:** ბიჭო, წყლის ჩუხჩუხი რომ არ ისმის?!!

**რამდენიმე ბავში:** (ხმას აუმაღლებენ) შშ, ჩხრ... ჩხრ... ჩხრ... შშშ...:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ირა:** მანქანებო, თქვენ გეუბნებით, ცოტა ჩუმად... ახლა ჩანგალი მღერის... აბა, ქეთო, დაიწყე!

**ქეთო:** (ხელებს ამუშავებს, ნელა ირხევა და მღერის)

მე ჩანგალი ვარ, დიდი ჩანგალი,
მატყლს ვეზიდები მეორე მხრისკენ,
იქ საპონ-წყალი არის ჩამდგარი,
ბეწვს პირს ვუბრუნებ ანკარა წყლისკენ.

**მანქანები:** ცია, ცია, ცია...

ბიმ-ბუმ... ბიმ-ბუმ...

კურუმ, კურუმ, კურუმ...

რაახ, რაახ, რაახ!..

**ირა:** (სასტვენი განკარგულებას იძლევა, მანქანა უცებ ჩერდება. ცოტა ხნით შესწყვიტა მუშაობა).

**ზინა:** ირა, ის მუშა, მილიციონერივით რომ უსტვენდა, რის-თვის უსტვენდა?

**ირა:** რისთვისა და იმ ხმაურობაში ლაპარაკს როგორ გა-აგებინებ ერთმანეთს? ეს სტვენა შტანგია. გაიგე?!

**ზინა:** ჰო, ჰოო! გავიგე, გავიგე...

**ირა:** (უსტვენს, მანქანა ისევ ამუშავდება)

**პირველი ჯგუფი:** დუგუ, დუგუ, დუგუ, დუგუ.

**მეორე ჯგუფი:** ბოჰ, ბოჰ, ბოჰ...

**მესამე ჯგუფი:** კირგი, კირგი, კირგი...

**ირა:** (კიდევ უსტვენს. მეორე მხრით სხვა გოგონა გამოდის, თავზე დიდი ფთილა ადევს. ხელში მარმაშები უჭირავს და პეპელასავით არხევს).

**ირა:** მანქანებო, ცოტა ჩუმად. აბა, ფთილა, სიმღერა!

(ფთილა მღერის და ცეკვავს)

სქელ მატყლისგან სხვა მანქანით
ნისლისავით ვიბადები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელი ბეწვი რომ გამცვივა,
იმ დიდ კოჭას მივადგები:

**ᲘᲠᲐ:** (კიდევ უსტვენს. გრძელი, კოჭად მორთული ბიჭუნა გამოგორდება და ფთილიანი გოგონას წინ ტრიალს დაიწყებს, გოგონა მარმაშზე ახვევს).

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:** ცია, ცია, ცია...

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ:** ბიმ, ბუმ, ბიმ, ბუმ...

**ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ:** რაახ, რაახ, რაახ...

**ᲘᲠᲐ:** (უსტვენს, მანქანები ოდნავ მიწყნარდებიან, თუმცა მოქმედებას განაგრძობენ. სცენის იქით სიმღერა ისმის).

ჩვენ მესერივით ჩავმწკრივდით,
თითისტრები ვართ რკინისა,
წმინდად დაგრეხილ ძაფებით
მაუდს ვუმზადებთ ტფილისსა.

(ისმის მუსიკის ხმა, მარშს უკრავენ, და თითისტრებად გადაცმული ბავშები სცენაზე მწყობრად გამოდიან, ფიზკულტურის რამდენიმე ვარჯიშს გააკეთებენ და შემდეგ უცბად გამწკრივდებიან. ნელ-ნელა ტრიალებენ; მათ მანქანებიდან ძაფი ეხვევა. თითისტარები მღერიან):

ჩვენ მესერივით ჩავმწკვრივდით,
თითისტრები ვართ რკინისა,
წმინდად დაგრეხილ ძაფებით
მაუდს ვუმზადებთ ტფილისსა.

(მანქანები წყნარად გუგუნებენ):

დუგუ, დუგუ, დუგუ... დუგუ,
ბოჭ, ბოჭ ბოჭ.

კირგი, კირგი, კირგი.

(ისმის ისევ სასტვენის ხმა. მანქანები შეჩერდებიან)

**ᲛᲣᲨᲐ:** (მანქანებს მიუახლოვდება, ბუზღუნით): ფუ, ამ მავთულმა სწორედ მთლად გამაწამა, დღეს მესამედ გამიწყვიტა ძაფი! (ძაფს აბამს. მანქანები ისევ ახმაურდებიან).

ᲪᲥᲕᲘᲢᲘ.

# ჩვენი ბრიგადა სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუშინ დილით, როცა ცაზე
აკიაფთა სხივთა ზოლი,
ახმაურდა სოფლის გზაზე
სიმღერებით ჩვენი რგოლი.

—

ჩვენ ბრიგადას გვერდით ახლდა
ხელოსანთა მთელი რიგი,
მახსოვს ახლა ძლიერ კარგად
სურათები სოფლის ირგვლივ.

—



სამკითხველოს ეზოს კართან
თავმჯდომარემ გახსნა კრება
და გლეხობას კოლექტივზე
გავუკეთეთ მოხსენება.

—

კოლექტივზე ღარიბ გლეხებს
ვესაუბრეთ დიდი ხანი,
ვარწმუნებდით, რომ ტრაქტორებს
ვერა სჯობნის უღლის ხარი.

—



კრების შემდეგ იქვე ასლოს
გავაჩაღეთ შრომა ფიცხი,
აგუზგუზდა ქურა სწრაფად;
დატრიალდა ბუდი სიცხის.

—

უცებ მჭექრად აგუგუნდა
სიმღერები მხიარული,
უსვენებლივ ვმუშაობდით
სიცილით და ჟრიამულით.



—

შევაკეთეთ სოფლელთათვის
სამუშაო იარაღი,
რომ გადახნან, გადაფარცხონ
მინდვრები და იალაღი.

—

,,შემოდგომაზე სოფელი
დაიტვირთება ბარაქით,
ქარხნებსაც გაუხარდება
ნედლი მასალის მარაგი.
აგრიალდება ბორბლები
ინდუსტრიალურ ქალაქის“.



—

ვმღეროდით და ბანს გვაძლევდა
ხელოსანთა მტკიცე რაზმიც,
გვიხაროდა ყველას, ყველას,
კულაკებს კი ჰკლავდა ბრაზი.

—

საჭიროა მუდამ ასე
დავეხმაროთ სოფლის კავშირს
თორემ ისე მშენებლობას
სასურველად ხომ ვერ გავშლით?



ალ. ბილანიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პირველი ცული



დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა. უზარმაზარი ტყეები იყო მაშინ ყველგან და საშინელი მხეცები ცხოვრობდენ შიგ.

ადამიანებიც ახლანდელებზე უფრო დიდრონი და ღონიერები იყვნენ, იმ დროს ხედვითაც უფრო შორს ხედავდენ და ყნოსვაც უფრო განვითარებული ჰქონდათ. ცხოვრობდენ პატარ-პატარა ჯგუფებად, ტომებად, განმარტოებით, ყოველ წუთს მოელოდენ რამე უბედურებას და მუდამ შიშში იყვნენ.

ადამიანებს უხდებოდათ ბრძოლა მხეცებთან და ადამიანების სხვა ჯგუფებთანაც.

მაშინდელი ხალხი ცხოვრობდა მღვიმეებში და გამოქვაბულებში, ტანზე მხეცების ტყავებს იცვამდა და უმი ხორცით, ხილითა და მცენარეების ძირებით იკვებებოდა.

ერთი რომელიმე პატარა ჯგუფი დაეპატრონებოდა პატარა ველს, ან ტყესა და მდინარეს, სადაც ნადირი და თევზი ცხოვრობდა და სხვა ჯგუფის ხალხს აღარ უშვებდა ახლოს. ამის გამო ხშირად ჰქონდათ ჩხუბი. საჭმელს ხომ ნადირობით შოულობდენ და ნადირსა და თევზებს თავისთვის უფრთხილდებოდენ.

ერთხელ მდინარის ნაპირას ტყეში შეხვდა ერთმანეთს ორი სხვადასხვა ტომის ხალხი. ადგილი კარგი იყო და არცერთს არ უნდოდა დაეთმო. და ასტეხეს საშინელი ჩხუბი. ერთმა ტომმა სძლია მეორეს, რომელიც უფრო მცირერიცხოვანი იყო. დამარცხებული ტომი გაიქცა და ორი-სამი მოკლული ამხანაგი დასტოვა. იარაღად ქვებსა და დიდრონ კეტებს ხმარობდენ.

გამარჯვებული ტომის ბელადი გორახი გამოუდგა გაქცეულ მტრებს, რომ შორს გადაერეკა. უცებ სწორედ მის ფეხებთან წამოიჭრა ერთი დაჭრილი პატარა ბიჭი.

ბიჭს გაჩეხილი ჰქონდა მუხლის თავი, მაგრამ მარდად წამოხტა, წამოავლო ქვას ხელი და მოემზადა გორახის დასახვედრად. შესახედაობა ნამდვილი გულადი მეომრის ჰქონდა, მაგრამ გორახთან ის პაწია მუმლივით მოჩანდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გორახმა ასწია კეტი ბიჭის დასარტყმელად, უნდოდა იქვე მოეკლა, მაგრამ სწორედ ამ დროს თავისი პატარა გოგონას ხმა მოესმა:

— გორახ!

გორახმა მოიხედა და თავისი პატარა ათი წლის გოგონა ზიკე დაინახა, რომელიც მას ძალიან უყვარდა.

— ნუ მოჰკლავ ბიჭს,—დაუყვირა ზიკემ,—მე მომეცი, ჩემი ტყვე იყოს.

გორახმა დაუშვა კეტი და თავის გზას გაუდგა.

— წაიყვანოს ზიკემ, რა მენაღვლება,— ფიქრობდა ის,—მისი მონა-მოსამსახურე იქნება.

დარჩა მტრის ტომის შვილი გორახის მღვიმეში და სახელად ომდუ დაარქვეს.

ბავშვები ერთის ხნის იყვნენ. თუმცა ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, ჩქარა დამეგობრდენ და ერთმანეთს ნიშნებით ელაპარაკებოდენ.





ზიკემ მოურჩინა ჭრილობა ომდუს და ამის შემდეგ ბავშვები ერთმანეთს არ შორდებოდენ, ერთად თამაშობდენ, და ერთად დადიოდენ თევზის დასაჭერად.

— წავიდეთ სათევზაოდ,—ეტყოდა ომდუ.

ისინიც მიდიოდენ მდინარეზე, გაწვებოდენ ერთმანეთის პირდაპირ ერთი ერთ ნაპირას, მეორე მეორეს და დიდხანს იწვენ უძრავად, ელოდენ, როდის ამოსცურავდა მაღლა დიდი თევზი. სწრაფად მოჰკლავდენ თევზს ჯოხით და იქვე შესჭამდენ უმად.

— წავიდეთ სანადიროდ,— ეტყოდა ზიკე.



ბავშვები ისევ მიდიოდენ და ისევ ყარაულობდენ, რომ მოეკლათ რომელიმე პატარა ნადირი და დანაყრებულიყვნენ.

ერთხელ გორახი დილაადრიანად წავიდა სანადიროდ ტყეში და ცოლიც თან წაიყვანა. ბავშვები დარჩენ მარტონი გამოქვაბულის წინ და თამაშობდენ. აგროვებდენ დიდრონ ქვებს და ურტყავდენ ერთმანეთს, რომ ნაპერწკლები გასცვენოდა, ანდა ქვების შორის სროლაში ეჯიბრებოდენ ერთმანეთს.

უცებ ომდუმ საოცარი ქვა იპოვნა, ასეთი არასოდეს არ შეხვედრია აქამდე: ფართე იყო, ერთი მხრით მსხვილი და ჩლუნგი, მეორე მხრისაკენ კი მჭრელი. მსხვილ მხარეზე ქვას ნახვრეტი ჰქონდა.

— რა უცნაური ქვაა, — სთქვა ომდუმ და ნახვრეტში ჯოხი გაუყარა. მან ასწია მაღლა თავისი ახალი სათამაშო და, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, მოიქნია. ქვა პატარა ხეს მოხვდა და ერთბაშად გადატეხა.

ბავშვებს გაუკვირდათ, ასეთი არაფერი უნახავთ თავის სიცოცხლეში.

— სინჯე კიდევ...— უთხრა ზიკემ.

ომდუმ დაჰკრა კიდევ თავისი სათამაშო ხეს და მთელი ტოტი ჩამოაგდო.

შეშინებულმა ბიჭმა გადააგდო ეს საშინელი სათამაშო, რომელსაც ასეთი დიდი ძალა ჰქონდა, და ხელი მოიფშვნიტა. მან იცოდა, რომ მარტო ქვით ან ჯოხით შეიძლება ჩამოსტეხო ხეს მხოლოდ პატარა შტო, მაგრამ ქვას და ჯოხს, ერთად შეერთებულს, საიდან აქვს ასეთი ძალა?!

შეშინებული ომდუ უკანუკან იწევდა და შორდებოდა თავის საშიშარ სათამაშოს: არ იფიქროს და ჩვენც არ ჩაგვარტყას თავშიო, მაგრამ სათამა-





შო უძრავად იდვა ერთ ადგილას, და ბავშები დამშვიდდენ.

უკვე შინ დაბრუნებას აპირებდენ ბავშები, რომ საზარელი ღრიალი გაისმა. თავზარდაცემულნი მოტრიალდენ და გაშეშდენ ერთ ადგილას.

დიდი შავი დათვი მძიმე ნაბიჯით მოდიოდა მათკენ, გაბრაზებული ღრიალებდა და კბილებს აკაწკაწებდა.

გაქცეულიყვნენ? სულერთია, დათვი დაეწეოდა. შებრძოლებოდენ? როგორ შეეძლოთ ცალიერი ხელებით დათვთან ბრძოლა?

— დავიღუპეთ! — შეჰყვირა ომდუმ.

— ისა? — წამოიძახა ზიკემ და ანიშნა ქვისა და ჯოხისაგან გაკეთებულ გადაგდებულ სათამაშოზე.

ომდუმ სწრაფად დაავლო ხელი ჯოხიან ქვას, გაფითრებულმა ასწია მაღლა და უცდიდა დათვს. „ეს გვიხსნის“, — გაიფიქრა მან, და როდესაც დათვმა დააპირა უკანა ფეხებზე შედგომა, მან, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაჰკრა თავში მძიმე თავისი სათამაშო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი მხეცი, რომელსაც აქამდე ყველა უძლეველად სთვლიდა, უცებ როგორღაც მოიკუნტა, ჩაიკეცა, თავი ძირს ჩამოაგდო და ცხვირით მიწაში ჩაეფლო, მერე ისევ წამოიწია საშინელი ღრიალით, მაგრამ ომდუს იარაღის დარტყმამ ისევ დასცა შეშინებული ბავშების წინ.

როდესაც ბავშებმა დაინახეს, რომ საშინელი მხეცი უძრავად გდია, მათ დაიწყეს მის ირგვლივ ხტუნვა და სიხარულით ყვირილი. მერე გაიქცენ სოფელში უფროსებთან და აჩვენეს საშინელი ქვა და ჯოხი, რითაც მოჰკლა ომდუმ დათვი.

მონადირეები დიდი ყურადღებით ათვალიერებდენ ომდუს სათამაშოს.

ომდუ გათამამდა და, რომ დაემტკიცებინა თავისი მხსნელი იარაღის ძალა, დაიწყო ხეებზე შტოების ჩამომტვრევა.

აი, ამნაირად გამოიგონეს ცული, რომელიც სწრაფად გავრცელდა უძველესი დროის ხალხთა შორის.



ანი.



# ჩვენი მკითხველების წერილები

## გაუმარჯოს პირველ მაისს

გაუმარჯოს პირველ მაისს,
გაუმარჯოს მუშებს, გლეხებს,
გაუმარჯოს ლენინსა
და კომუნისტურ ჯარებს.

მუშებმა ქარხნებში
მიატოვეს მუშაობა,
გამოდიან ქუჩებში
მწყობრად და რიგებად.

აჰა ტრიბუნაზე
გამოჩნდა ორატორი,
დაამთავრა სიტყვა და
გამოვიდა პიონერი.

ხელებს აქნევს და თან ამბობს:
„ჩვენ ვართ მომავალი თაობა,
ბურჟუების მტრები და
ჩვენთან არის მთავრობა“.

**პატარა ზანგი.**

## ყველას საყვარელი 1 მაისი

მოკაზმულა მდელო,
მოკაზმულა ველი,
პირველი მაისია
ყველას საყვარელი.

დღეს მოილხენს გული
მუდამ დაჩაგრული,
დღეს მუშების დღეა
უხვად მხიარული.

მე-8 შრომის სკოლის ოქტომბრელი **მერი ნიკოლაიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი მოგზაურობა ქარხანაში

ჩვენ 15 მაისს წავედით ტყავტრესტის ქარხანაში. სკოლიდან ქვეითად მივედით თავისუფლების მოედანზე, იქიდან № 9 ტრამვაით წავედით. გავჩერდით ბაზარში. იქ დავინახეთ კინტო. მას თავზე ვაშლები ჰქონდა. ქალები სადილს ყიდულობდენ, მუშებს მიჰყავდათ ცხვრები და სხვ.

მასწავლებელმა გვითხრა, ბაზარი დახატეთო. ბოკერიამ და ძიძიგურმა იქვე დახატეს ბაზარი ვატმანმა ზარი დაჰკრა და გაგვაქანა. გზაში მოჩანდა ამწვანებული მინდვრები და ყვავილები. მოდიოდენ გლეხები ურმით. რომ დაგვინახეს ამდენი ბავში, გაიცინეს.

გამოჩნდა ქარხანა. ტრამვაი გაჩერდა. ჩამოვედით, ცოტა ხანი ხის ქვეშ მოვიცადეთ. სანამ ჩვენ ხისქვეშ ვიდექით, მასწავლებელი მარტო წავიდა ქარხანაში გასაგებად, შეიძლება თუ არა ჩვენი შესვლა. ის დაბრუნდა და მეათეჯგუფელს უთხრა—წამოიყვანე ბავშებიო.

ჩვენ რომ შევედით ქარხნის ეზოში, იქ მუშები ისხდენ და საუზმობდენ. მასწავლებელმა წაგვიყვანა მუშებისაკენ და დაუძახა: სტუმრად მოვდივართო. მუშებმა გაიცინეს და გვიპასუხეს მობრძანდითო. ჩვენ გავიქეცით, დავსხედით მათთან, ცოტა ვისაუზმეთ და მერე მუშებთან ერთად სურათი გადავიღეთ. ბიჭებმა ფეხბურთი ითამაშეს. ამასობაში საყვირმა დაიყვირა და მუშები შევიდენ ქარხანაში სამუშაოდ. ჩვენც შევედით და დავათვალიერეთ ახალი მექანიკური დაბახანა, სადოლო, სალანჩე, საშრობი, ახალი მექანიკური სახრომო განყოფილება და სხვა. ამ განყოფილებებში არის სხვადასხვა მანქანა. მერე გამოვედით, დავეწყვეთ, გამოვემშვიდობვეთ მუშებს და წამოვედით.

ვიარეთ ბევრი, ბევრი, ვუცადეთ ტრამვაის, მაგრამ სულ ხალხით სავსე მოდიოდა. როგორც იქნა, მოვიდა ტრამვაი და წამოვედით. ისევ მხიარული ბუნება: მინდვრები, ველები, ხეები, ყვავილები... უკვე მოვუახლოვდით თავისუფლების მოედანს. ჩამოვედით, დავეწყვეთ და გავსწიეთ სკოლისკენ.

**ნ. ფოცხვერაშვილი**

## ორი მაისი

მოდის ბრწყინვალე, მშვენიერი
ორი მაისი,
და ჩვენთვის მოაქვს სიხარული,
ტურფა ხალისი.
გვიახლოვდება, სიხარულით
მას ვეგებებით,
და მაშინა ვგრძნობთ, რა კარგია
ჩვენი მაისი.

**ახმათი კაპანაძე**

# მუსიკალური გამოცანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვები მარიჯანის

მუს. თამარ შავერზაშვილის




ბავშვები დეკლამაციით: კალენდარი, წელიწადი, საათია, საათი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1930

## გამოდის დასურათებული საბავშო ჟურნალები

პატარებისათვის **„ოქტომბრელი“** ყოველთვიური — III წ.

მოზრდილ. **„პ ი ო ნ ე რ ი“** ორკვირეული — V წ.

**1930 წ. „ოქტომბრელი“ გამოვა 12 წიგნი**

**1930 წ. „პიონერი“ გამოვა 24 წიგნი**

**1930 წელს** საბავშო ჟურნალებში ითანამშრომლებენ თანამედროვე მწერლები.

**1930 წელს „ოქტომბრელი“** მისცემს **პრემიად** წლიურ ხელისმომწერლებს

1. დ. და მ. შევარდნაძეების გადმოქართულებულ **ფერადსურათებიან** წიგნს **„გულწითელა“**.
2. **„ოქტომბრელის“** წლიური ხელისმომწერნი (კოლექტივები, სკოლები, ჯგუფები) ყოველ 5 ცალზე უფასოდ მიიღებენ **მეექვსე ცალ „ოქტომბრელს“**

**1930 წელს „პიონერი“ მისცემს პრემიად წლიურ ხელისმომწერლებს:**

1. **„მოწაფე-კოოპერატორს“.**
2. **„საბავშო პიესათა კრებულს“.**
3. **„პიონერის“** წლიური ხელისმომწერლები (კოლექტივები, სკოლები, ჯგუფები) ყოველ ხუთ ცალზე **უფასოდ** მიიღებენ **მეექვსე ცალს.**

ორივე ჟურნალის გარეკანი დაიბეჭდება ფერადებით.

## 1930 წელს ხელისმოწერა მიიღება

| | | | |
|---|---|---|---|
| გადაგზავნით | **„ოქტომბრელი“** — | წლით | 3 მ. 50 კ. |
| | | ნახევარი წლით | 2 მ. |
| | | სამი თვით | 1 მ. |
| | **„პ ი ო ნ ე რ ი“** — | წლით | 5 მ. |
| | | ნახევარი წლით | 3 მ. |
| | | სამი თვით | 1 მ. 50 კ. |

მისამართი: 1) ტფილისი, სახელგამი, რუსთაველის პრ., № 22

ჟურნალ **„პიონერის“ და „ოქტომბრელის“ რედაქცია.**

2) სახელგამის პერიოდსექტორი—ტფილისი, რუსთველის პრ., № 11.

ხელმოწერა მიიღება აგრეთვე სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიაში და ფოსტის განყოფილებებში.



1930 წ.

# „ოქტომბრელის“

წლიურ ხელისმომწერლებს უფასო დამატებად ეძლევა:

1. „ბულწითელა“ (ფერადსურათებიანი წიგნი)
2. ვინც ხუთ ცალ „ოქტომბრელს“ გამოიწერს მთელი წლით—მეექვსე ცალი „ოქტომბრელი“



